ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3310012

ნომერი: AR1502758

თარიღი : 10.05.2017

გაცემის თარიღი : 08.06.2017

გაცნობის თარიღი : 08.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს / ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტროლეიბუსების ბოლო გაჩერებასთან არსებული სკვერი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მალხაზ თავართქილაძე პ/ნ 01015004708
- თბილისი ვერცხლის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე,

გამზირი ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს / ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტროლეიბუსების ბოლო გაჩერებასთან არსებულ სკვერში, შპს „ზვარე 1961“-ის (მოიჯარე : შპს „წისქვილი ჯგუფი“) საკუთრებაში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით დასტურს. ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016826533 01/12/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.14.07.011.013; საპროექტო ფოტომონტაჟი, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, გამზირი ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს / ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტროლეიბუსების ბოლო გაჩერებასთან არსებულ სკვერში, შპს „ზვარე 1961“-ის (მოიჯარე : შპს „წისქვილი ჯგუფი“) საკუთრებაში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობას. –სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.